საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/187 "9" დეკემბერი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

ჯ. ბეჟანიძისათვის ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის №1/144 განკარგულებით ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დავით მამისეიშვილი, რომელიც იმავდროულად დანიშნული იყო ამავე სასამართლოს თავმჯდომარედ, დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ, 2021 წლის 15 ნოემბრიდან. ვინაიდან, აღნიშნული სასამართლოს დატვირთულობის გათვალისწინებით სასამართლოში თავმჯდომარის არყოფნა უარყოფითად აისახება სასამართლოს გამართულ ფუნქციონირებაზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ დაყენებულ იქნა საკითხი, თავმჯდომარის დანიშვნამდე ამ უფლებამოსილების ერთ-ერთი მოსამართლისათვის დაკისრების მიზანშეწონილობის თაობაზე და მის მიერ წარმოდგენილ იქნა მოსამართლე ჯუმბერ ბეჟანიძის კანდიდატურა. საკითხი მხარდაჭერილ იქნა საბჭოს წევრების მიერ. ჯუმბერ ბეჟანიძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 17-წლიანი გამოცდილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ჯუმბერ ბეჟანიძეს დაეკისროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება, 2021 წლის 10 დეკემბრიდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე